



შპს „ავიაკოპტერი“

ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ტაძრის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე
ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი საფრენი მოედნის მოწყობა

სკოპინგის ანგარიში

მომზადებულია: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების
საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“-ს მიერ

დირექტორი: თინათინ ჟიჟიაშვილი

ქ. თბილისი, 2020 წელი

1. შესავალი

შპს „ავიაკოპტერი“ წარმოადგენს მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მაღალი კლასის ავიასპეციალისტებით დაკომპლექტებულ კომპანიას.

დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით და ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნებიდან გამომდინარე შპს „ავიაკოპტერმა“ გადაწყვიტა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ფართობზე, ქ. თბილისის ცენტრთან ახლოს მოაწყოს ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი ახალი საფრენი მოედანი. ვინაიდან, ახალი საფრენი მოედნის მშენებლობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-9 პუნქტის, 9.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მცირე ზომის საფრენი მოედნის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებით მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი, რომელიც წარდგენილი იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

აღნიშნული სკრინინგის განხილვის შედეგად, სამინისტრომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 10 სექტემბრის #2-807 ბრძანებით, მიიღო გადაწყვეტილება საქმიანობის გზშ-ს დაქვემდებარების შესახებ. ვინაიდან გზშ ანგარიშის მომზადებას წინ უძღვის სკოპინგის პროცედურა, კომპანიის მიერ მომზადებული იქნა წინამდებარე სკოპინგის ანგარიში.

ცნობები კომპანიის და ასევე სკოპინგის ანგარიშის მომამზადებელი კომპანიის შესახებ მოცემულია ცხრილში #1.

ცხრილი #1

| | |
|--|---|
| საქმიანობის განმახორციელებელი | შპს „ავიაკოპტერი“ |
| კომპანიის იურიდიული მისამართი | ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, აეროპორტის დასახლება |
| კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი | 406252576 |
| კომპანიის ხელმძღვანელი | ვლადიმერ ხოსიაშვილი |
| საქმიანობის სახე | საფრენი მოედნის მოწყობა |
| საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა | ქ. თბილისი, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო, ტაძრის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია |

| | |
|--|---|
| გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანია | შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“ |
| კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი | 405390973 |
| დირექტორი | თინათინ ჟიჟიაშვილი |
| მისამართი | საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქუჩა #16 |
| საკონტაქტო ინფორმაცია | ტელ. 577 38 01 13; esec.ecometer@gmail.com |

2. პროექტის საჭიროების დასაბუთება

საქართველოს რელიეფი მთაგორიანია და ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ვერტმფრენების ფუნქციონირება დედაქალაქის სიახლოვეს განსაკუთრებით სტიქიური უბედურებების, გადაუდებელი სამაშველო თუ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის დროს, ბიზნესმენების, საჯარო მოხელეების და ტურისტების სწრაფი გადაადგილებისთვის და სხვ.

ამ დროისთვის ქ. თბილის გააჩნია მხოლოდ ერთი საფრენი მოედანი ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტი და ასევე ქ. თბილისის მახლობლად, მცხეთის რაიონ სოფ. ნატახტარში მდებარე აეროპორტი. ორივე აეროპორტი საკმაოდ არის მოშორებული ქალაქის ცენტრს, რაც იწვევს დროის არარაციონალურად ხარჯვას. გარდა ამისა, ზაფხულში, ტურისტულად აქტიურ სეზონზე დიდი დატვირთვით მუშაობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტი და საპარაკო სივრცე მუდმივად ეთმობა თვითმფრინავებს. აქედან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელია ვერტმფრენით განსაზღვრულ დროს აფრენა და დაჯდომა, რაც დროის კარგვასთან ერთად იწვევს გაუთვალისწინებელ ხარჯებს და მომხმარებელთა უკმაყოფილებას.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ასევე არ არის გათვალისწინებული და დაპროექტებული შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომ მცირე ზომის ვერტმფრენებისთვის ხელსაყრელი იყოს ოპერირება, კერძოდ, ვერ ხერხდება დასაფრენი მოედნიდან სადგომებზე შესვლა და გამოსვლა საპარაკო გადაადგილების გარეშე, რაც ვერტმფრენების ტექნიკური მონაცემებიდან გამომდინარე, შეუძლებელს ხდის გვერდითი ან მიმყოლი ქარის დროს, უსაფრთხოდ მოძრაობას. ამავდროულად, სადგომზე გაჩერების შემდგომ ვერ ხერხდება მგზავრების დროულად გაყვანა ვერტმფრენიდან/ვერტმფრენამდე. მრავალწლიანი დაკვირვებითა და დაგროვილი გამოცდილებით გასათვალისწინებელია თბილისის აეროპორტის გეოგრაფიული მდებარეობა და მეტეო პირობები. ვერტმფრენების უმრავლესობა სარგებლობს ვიზუალური ფრენის წესებით, ხოლო, თბილისის აეროპორტში დაბალი ხილვადობის პირობებში შეუძლებელია ვიზუალური ფრენის წესებით ფრენის შესრულება.

მნიშვნელოვანია, რომ საფრენი მოედანი უნდა მდებარეობდეს ქალაქის ცენტრთან რაც შეიძლება ახლოს და აეროპორტის მიერ კონტროლირებადი საპარო სივრცის გარეთ, რაც მისცემს საშუალებას განიტვირთოს კონტროლირებადი საფრენი საპარო სივრცე და შეუფერხებლად შეძლონ ფრენების შესრულება როგორც ვერტმფრენებმა ასევე თვითმფრინავებმა.

პროექტის განხორციელების შედეგად დედაქალაქისთვის შეიქმნება ახალი, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე კეთილმოწყობილი საფრენი მოედანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი იქნება ქვეყანაში ოპერირებული და რეგისტრირებული ყველა ვერტმფრენისათვის და ასევე სახელმწიფო ავიაციისათვის.

გარდა იმისა, რომ ახალი აეროდრომი ხელსაყრელი იქნება საპარო ტურების განსახორციელებლად (რაც ხელს შეუწყობს ვერტოტურიზმის განვითარებას), ასევე იძლევა საშუალებას გამოყენებული იქნას სხვადასხვა მიზნით. ვინაიდან აღნიშნული რაიონის სიახლოვეს მდებარეობს წამყვანი სამედიცინო დაწესებულებები, საჭიროების შემთხვევაში მათ მიეცემათ საშუალება სწრაფად განახორციელონ ვეტმფრენით სამედიცინო, სამაშველო ღონისძიებები. ასევე მაღოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები შეუფერხებლად შესარულებენ სწრაფ მოქმედებებს. ხანძრისა და სტიქიური უბედურებების დროს სამაშველო ვერტმფრენები აღნიშნული საფრენი მოედნიდან შეძლებენ შეივსონ საწვავის მარაგი, აღიჭურვონ შესაბამისი მოწყობილობებით და უმოკლეს დროში მიფრინდნენ დანიშნულების ადგილას. საფრენი მოედანი გამოსადეგი იქნება, როგორც საპარკინგე ადგილი და ტექნიკური მომსახურების დაწესებულება ვიზიტორებისთვის, რომლებიც საკუთარი ვერტმფრენებით სტუმრონენ ქვეყანას.

3. პროექტის ალტერნატივების განხილვა

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის, მესამე პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სხვა საკითხებთან ერთად სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ ინფორმაციას.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე განხილული იქნა შემდეგი ალტერნატიული ვარიანტები:

- არაქმედების ალტერნატივა;
- ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი ახალი საფრენი მოედნის მოწყობის ალტერნატივა;

3.1 არაქმედების ალტერნატივა

არაქმედების, ანუ ნულოვანი ალტერნატივა გულისხმობს პროექტის განხორციელებაზე უარის თქმას, რაც იმას ნიშნავს, რომ არ მოხდება ალტერნატიული ახალი საფრენი მოედნის მოწყობა, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც ქვეყანას ექნება საგანგებო სიტუაციების და სამედიცინო საჭიროების შესაბამისად. შესაბამისად არაქმედების ალტერნატივა უგულვებელყოფილი იქნა.

3.2 ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი ახალი საფრენი მოედნის მოწყობის ალტერნატივა

ახალი საფრენი მოედნის მოწყობა დაგეგმილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე და კერძო საკუთრებების შესყიდვას ან რაიმე სხვა სახის განსახლებასთან დაკავშირებული აქტივობებს არ ითვალისწინებს, რაც თავის მხრივ დადებითი ეფექტის მატარებელია.

ამ დროისთვის ქ. თბილისს გააჩნია მხოლოდ ერთი საფრენი მოედანი ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში და ასევე ქ. თბილისის მახლობლად, მცხეთის რაიონ სოფ. ნატახტარში მდებარე აეროპორტი. ორივე აეროპორტი საკმაოდ არის მოშორებული ქალაქის ცენტრს, რაც იწვევს დროის არარაციონალურად ხარჯვას. გარდა ამისა, ზაფხულში, ტურისტულად აქტიურ სეზონზე დიდი დატვირთვით მუშაობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტი და საპარაკო სივრცე მუდმივად ეთმობა თვითმფრინავებს. აქედან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელია ვერტმფრენით განსაზღვრულ დროს აფრენა და დაჯდომა, რაც დროის კარგვასთან ერთად იწვევს გაუთვალისწინებელ ხარჯებს და მომხმარებელთა უკმაყოფილებას.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ასევე არ არის გათვალისწინებული და დაპროექტებული შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომ მცირე ზომის ვერტმფრენებისთვის ხელსაყრელი იყოს ოპერირება, კერძოდ, ვერ ხერხდება დასაფრენი მოედნიდან სადგომებზე შესვლა და გამოსვლა საპარაკო გადაადგილების გარეშე, რაც ვერტმფრენების ტექნიკური მონაცემებიდან გამომდინარე, შეუძლებელს ხდის გვერდითი ან მიმყოლი ქარის დროს, უსაფრთხოდ მოძრაობას. ამავდროულად, სადგომზე გაჩერების შემდგომ ვერ ხერხდება მგზავრების დროულად გაყვანა ვერტმფრენიდან/ვერტმფრენამდე. მრავალწლიანი დაკვირვებითა და დაგროვილი გამოცდილებით გასათვალისწინებელია თბილისის აეროპორტის გეოგრაფიული მდებარეობა და მეტეო პირობები. ვერტმფრენების უმრავლესობა სარგებლობს ვიზუალური ფრენის წესებით, ხოლო, თბილისის აეროპორტში დაბალი ხილვადობის პირობებში შეუძლებელია ვიზუალური ფრენის წესებით ფრენის შესრულება.

მნიშვნელოვანია, რომ საფრენი მოედანი უნდა მდებარეობდეს ქალაქის ცენტრთან რაც შეიძლება ახლოს და აეროპორტის მიერ კონტროლირებადი საპარაკო სივრცის გარეთ, რაც მისცემს საშუალებას

განიტვირთოს კონტროლირებადი საფრენი საპარო სივრცე და შეუფერხებლად შეძლონ ფრენების შესრულება როგორც ვერტმფრენებმა ასევე თვითმფრინავებმა.

პროექტის განხორციელების შედეგად დედაქალაქისთვის შეიქმნება ახალი, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე კეთილმოწყობილი საფრენი მოედანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი იქნება ქვეყანაში ოპერირებული და რეგისტრირებული ყველა ვერტმფრენისათვის და ასევე სახელმწიფო ავიაციისათვის.

გარდა იმისა, რომ ახალი აეროდრომი ხელსაყრელი იქნება საპარო ტურების განსახორციელებლად (რაც ხელს შეუწყობს ვერტოტურიზმის განვითარებას), ასევე იძლევა საშუალებას გამოყენებული იქნას სხვადასხვა მიზნით. ვინაიდან აღნიშნული რაიონის სიახლოვეს მდებარეობს წამყვანი სამედიცინო დაწესებულებები, საჭიროების შემთხვევაში მათ მიეცემათ საშუალება სწრაფად განახორციელონ ვერტმფრენით სამედიცინო, სამაშველო ღონისძიებები. ასევე ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები შეუფერხებლად შექარულებენ სწრაფ მოქმედებებს. ხანძრისა და სტიქიური უბედურებების დროს სამაშველო ვერტმფრენები აღნიშნული საფრენი მოედნიდან შეძლებენ შეივსონ საწვავის მარაგი, აღიჭურვონ შესაბამისი მოწყობილობებით და უმოკლეს დროში მიფრინდნენ დანიშნულების ადგილას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ახალი საფრენი მოედნის მოწყობა და მისი ფუქნციონირება.

4. საკანონმდებლო ჩარჩო დოკუმენტები

4.1 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მოიცავს კონსტიტუციას, გარემოსდაცვით კანონებს, საერთაშორისო შეთანხმებებს, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, პრეზიდენტის ბრძანებულებებს, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს, მინისტრების ბრძანებებს, ინსტრუქციებს, რეგულაციებს და სხვა. საქართველოს რატიფიცირებული აქც რამოდენიმე გარემოსდაცვითი საერთაშორისო კონვენცია.

საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი გარემოსდაცვითი კანონების მოთხოვნები (ცხრილი №2).

| მიღების წელი | კანონის დასახელება | სარეგისტრაციო კოდი |
|-----------------|---|-------------------------|
| 1994 | საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ | 370010000.05.001.018678 |
| 1995 | საქართველოს კონსტიტუცია | 010010000.01.001.016012 |
| 1996 | საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ | 360000000.05.001.018613 |
| 1997 | საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ | 410000000.05.001.018606 |
| 1997 | საქართველოს კანონი წყლის შესახებ | 400000000.05.001.018653 |
| 1999 | საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ | 420000000.05.001.018620 |
| 1999 | საქართველოს ტყის კოდექსი | 390000000.05.001.018603 |
| 1999 | საქართველოს კანონი საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ | 040160050.05.001.018679 |
| 2003 | საქართველოს წითელი ნუსხის და წითელი წიგნის შესახებ | 360060000.05.001.018650 |
| 2003 | საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ | 370010000.05.001.018641 |
| 2014 | საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ | 130000000.05.001.01860 |
| 2007 | საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ | 470000000.05.001.018607 |
| 2014 | ნარჩენების მართვის კოდექსი | 360160000.05.001.018604 |
| 2017 | გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი | 360160000.05.001.018605 |

4.2 საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები

წინამდებარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დამუშავების პროცესში გარემო ობიექტების (ნიადაგი, წყალი, ჰაერი) ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებული იქნა შემდეგი გარემოსდაცვითი სტანდარტები (ცხრილი №3)

ცხრილი №3

| მიღების თარიღი | ნორმატიული დოკუმენტის დასახელება | სარეგისტრაციო კოდი |
|-------------------|---|-------------------------|
| 31/12/2013 | ტექნიკური რეგლამენტი - „დაბინბურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინბურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინბურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნიკური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №435 დადგენილებით | 300160070.10.003.017660 |
| 31/12/2013 | ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №408 დადგენილებით. | 300160070.10.003.017622 |
| 3/1/2014 | ტექნიკური რეგლამენტი - „აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის შესახებ“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №21 დადგენილებით. | 300160070.10.003.017590 |
| 2014 | ტექნიკური რეგლამენტი - „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინბურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზღჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №414 დადგენილებით. | 300160070.10.003.017621 |
| 31/12/2013 | ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინბურებისაგან დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №425 დადგენილებით. | 300160070.10.003.017650 |

| | | |
|------------|---|-------------------------|
| 3/1/2014 | ტექნიკური რეგლამენტი - „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №8 დადგენილებით. | 300160070.10.003.017603 |
| 2014 | გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი - დამტკიცებული საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით. | 300160070.10.003.017608 |
| 2014 | ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №28 დადგენილებით. | 300160070.10.003.017585 |
| 14/01/2014 | ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოაწგარიშების) მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №54 დადგენილებით. | 300160070.10.003.017673 |
| 31/12/2013 | ტექნიკური რეგლამენტი - „კარიერების უსაფრთხოების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №450 დადგენილებით. | 300160070.10.003.017633 |
| 1/12/2013 | ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით. | 300160070.10.003.017647 |
| 15.01.2014 | ტექნიკური რეგლამენტი - სასმელი წყლის შესახებ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №58 დადგენილებით. | 300160070.10.003.017676 |
| 31/12/2013 | ტექნიკური რეგლამენტი - „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებით. | 300160070.10.003.017640 |
| 4/8/2015 | ტექნიკური რეგლამენტი - „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი“. დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №211 ბრძანებით | 360160000.22.023.016334 |
| 17/08/2015 | ტექნიკური რეგლამენტი - „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N426 დადგენილებით. | 300230000.10.003.018812 |
| 1/8/2016 | საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №422 დადგენილება „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, | 360100000.10.003.018808 |

| | | |
|--|--|--|
| | ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ ”. | |
|--|--|--|

4.3 საერთაშორისო ხელშეკრულებები

საქართველო მიერთებულია მრავალ საერთაშორისო კონვენციას და ხელშეკრულებას, რომელთაგან გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა:
- კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, რიო დე ჟანეირო, 1992 წ;
- კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ, რამსარი 1971 წ;
- კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES), ვაშინგტონი, 1973 წ;
- ბონის კონვენცია ველური ცხოველების მიგრაციული სახეობების დაცვის შესახებ, 1983 წ.
- კლიმატის ცვლილება:
 - გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, ნიუ-იორკი, 1994 წ;
 - მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ, მონრეალი, 1987;
 - ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ, 1985 წ;
 - კიოტოს ოქმი, კიოტო, 1997 წ;
 - გაეროს კონვენცია გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, პარიზი 1994.
- დაბინძურება და ეკოლოგიური საფრთხეები
 - ევროპის და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ხელშეკრულება მნიშვნელოვანი კატასტროფების შესახებ, 1987 წ.
- კულტურული მემკვიდრეობა:
 - კონვენცია ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;
 - კონვენცია ევროპის არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ
- საჯარო ინფორმაცია
 - კონვენცია გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორპუსის კონვენცია, 1998 წ.).

5. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

5.1 საფრენი მოედნის განთავსების ადგილმდებარეობა

ახალი საფრენის მოედანის მოსაწყობად შერჩეული იქნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე თავისუფალი ტერიტორია, რომლის ფართობი შეადგენს 35 558კვ.მ-ს. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია: 01.11.04.019.547. მიწა მდებარეობს დიღმის ოლიმპიური ქალაქის მიმდებარე ტერიტორიასთან, რომელიც განთავსებულია მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან. შერჩეული ტერიტორია ამჟამად წარმოადგენს სტიქიურ ნაგავსაყრელს და გამოიყენება სამშენებლო და სხვა სახის ნარჩენების უნებართვოდ განთავსებისთვის. რაც თავისთავად იწვევს მდინარის დაბინძურებას ნარჩენებით და ხშირ შემთხვევაში მის ჩახერგვას და კალაპოტის ცვლილებას.

ტერიტორიის შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნა უსაფრთხოების ნორმების საკითხების დაცვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერტმფრენებმა არ უნდა იფრინონ ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საფრენი მოედანი მდებარეობდეს მდინარის სანაპირო ზოლში. ამ პრინციპით, მდინარე მტკვარი შესაძლებელია განხილული იქნეს, როგორც ვერტმფრენისთვის ქალაქის ტერიტორიაზე საფრენი მიმართულება.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მოხდება მდინარის მიმდებარე ტერიტორიის ნარჩენებისგან განთავისუფლება, მოსწორებული იქნება საპროექტო ტერიტორიის ზედაპირი და დაიფარება მწვანე საფარით.

საპროექტო მიწის სრული ფართობის **GPS** კოორდინატებია:

| N | X | Y |
|---|-----------|------------|
| 1 | 482420.74 | 4627585.31 |
| 2 | 482437.52 | 4627592.28 |
| 3 | 482732.46 | 4627008.99 |

ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი მოედანი მოეწყობა ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდის ფარგლებში არსებული მიწის ნაკვეთის შიგნით და დაიკავებს მცირე ფართობს. მოედანი წრიული ფორმის იქნება და მისი დიამეტრი შეადგენს 20 მეტრს, ხოლო მოედნამდე მისასვლელი გზა სიგანით 6მ და სიგრძით 100მ. უშუალოდ ასაფრენი მოედნის მოწყობის ადგილის **GPS** კოორდინატებია:

| N | X | Y |
|---|-----------|------------|
| 1 | 482646.15 | 4627300.82 |

საპროექტო ტერიტორიიდან, სადაც მოხდება ასაფრენი მოედნის მოწყობა, უახლოესი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, დაშორებულია 316 მეტრით.

საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისაგან და შესაბამისად პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.


საპროექტო ტერიტორიის ერთ მხარეს, დაახლოებით 20 მეტრში მიუყვება მდ. მტკვარი. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მდ. მტკვრისა და საფრენი მოედნის ტერიტორიის გამოყოფა მოხდება სპეციალური მავთულბადის ტიპის ღობით. ღობის დაშორება მდ. მტკვრის ნაპირიდან იქნება დაახლოებით 8-10 მეტრი.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ამერიკის საელჩოს 2000 მეტრიანი ბუფერული ზონის მიმდებარედ. თავის მხრივ, ამერიკის საელჩო არ არის აღნიშნული პროექტის განხორციელების წინააღმდეგი და მათი მოთხოვნით წარედგინება საელჩოს ფრენების განრიგი (დანართი - საელჩოს 2019 წლის 26 ივნისის წერილი).



სურ. #1 - საპროექტო ტერიტორია

ქ.თბილისი მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო



სურ. #2 - საპროექტო ტერიტორია, სადაც მონიშნულია ასაფრენ/დასაფრენი მოედნის წერტილი

5.2 პროექტის აღწერა

როგორც უკვე აღინიშნა პროექტი ითვალისწინებს საფრენი მოედნის მოწყობას, რომელიც გამოყენებული იქნება ვერტმფრენების აფრენა/დაფრენისთვის. ვერტმფრენების აფრენა/დაფრენისთვის განკუთვნილი მოედანი იქნება წრიული ფორმის, დიამეტრით 20მ. ხოლო, მოედნამდე მისასვლელი გზის პარამეტრები იქნება: სიგანე - 6მ, სიგრძე - 100მ.

გარდა ვერტმფრენების ასაფრენ/დასაფრენი მოედნისა დაგეგმილია დამხმარე შენობა-ნაგებობების მოწყობა. კერძოდ, საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა სამი სხვადასხვა ანგარი, რომელიც გათვალისწინებული იქნება ვერტმფრენების სადგომად. სამივე ანგარი მოწყობილი იქნება მსუბუქი კონსტრუქციით, სენდვიჩ პანელების გამოყენებით. თითოეული ანგარის ტექნიკური პარამეტრები იქნება: სიგრძე - 16მ; სიგანე - 14მ. სიმაღლე - 5 მ, ერთსართულიანი. სამივე ანგარის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება 6 ვერტმფრენის განთავსება ერთდროულად.

გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ადმინისტრაციული შენობის და მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა, რომელიც ასევე წარმოადგენს სენდვიჩ-პანელებით აგებულ შენობას და მისი ტექნიკური პარამეტრები იქნება: სიგრძე - 12მ, სიგანე - 12მ, ორსართულიანი.

პროექტი ასევე ითვალისწინებს ავტოსადგომის მოწყობას, რომელიც გათვლილი იქნება 50 ავტომანქანაზე.

ვერტმფრენების ასაფრენ/დასაფრენი მოედანი, მასთან მისასვლელი გზა და ავტოსადგომი დაფარული იქნება ასფალტის საფარით, ხოლო დანარჩენი ტერიტორია დაიფარება მწვანე საფარით და გარკვეულ ფართობზე დაირგვება მარადმწვანე მცენარეები.

საპროექტო ტერიტორია შემოიღობება მავთულბადით და ასევე მოეწყობა ხმაურდამცავი ბუნებრივი ბარიერი, რაც ითვალისწინებს ღობის სრულ პერიმეტრზე მაღალმოზარდი (25მ), მარადმწვანე მცენარეების დარგვას, რომელიც წინასწარ იქნება შერჩეული კვალიფიციურ სპეციალისტთან ერთად.

5.3 ვერტმფრენების აფრენისა და დაფრენის სავარაუდო რაოდენობა, ვერტმფრენების ტიპი

საპროექტო მოედნიდან შესრულებული ფრენების რაოდენობა იქნება მცირე ჯერადობის და წინასწარ განსაზღვრული უსაფრთხო მარშრუტით. დაკვირვებებიდან და ბაზარზე არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ფრენათა სავარაუდო რაოდენობა თვის განმავლობაში სეზონების მიხედვით ასე გადანაწილდება:

- 1 მაისიდან – 1 ნოემბრამდე საშუალოდ 15-20 აფრენა/დაფრენა თვეში;

- 1 ნოემბრიდან – 1 მაისამდე – 10-15 აფრენა/დაფრენა თვეში.

წლის განმავლობაში განხორციელდება საშუალოდ 150–200 ფრენა. გამომდინარე აქედან, შესრულებული ფრენების რაოდენობა არ გამოიწვევს მოედნის სიახლოვეს მაცხოვრებელთა უკმაყოფილებას.

საპროექტო საფრენი მოედნიდან ფრენას განახორციელებენ ძირითადად Augusta A-109E (4L-VSA)-ს და BO-105 ტიპის ვერტმფრენები. აღნიშნულ ვერტმფრენებს გააჩნიათ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაცემული საპატიო ხომალდის, რეგისტრაციის, ექსპლოატაციის, რადიოსადგურისა და ხმაურის სერტიფიკატები (იხ. დანართი).

6. მშენებლობის დროს გამოყენებული მანქანა დანადგარები

პროექტის განხორციელების დროს, ტერიტორიის მოსასწორებლად, სამშენებლო მასალების შემოსატანად, მოასასფალტებლად და მსუბუქი კონსტრუქციების შემოსატანად გამოყენებული იქნება შემდეგი მანქანა-დანადგარები:

| # | მანქანა დანადგარის დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|-------------------------------|---------------------|
| 1 | ავტოთვითმცლელი | 1 |
| 2 | ასფალტის კატოკი | 1 |
| 3 | ამწე | 1 |
| 4 | გრეიიდერი | 1 |

7. მშენებლობის განხორციელების ვადები

პროექტის განხორციელება არ არის დაკავშირებული დიდი მასშტაბის მქონე მიწის და ბეტონის სამუშაოებთან. როგორც უკვე აღინიშნა, პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ არსებული ტერიტორიის მოსწორებას და ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი ასაფრენ/დასაფრენი მოედნის, მასთან მისასვლელი გზის, ავტოსადგომის, ანგრების და ადმინისტრაციული შენობის მოწყობას. იქიდან გამომდინარე, რომ შენობებისთვის გათვალისწინებულია მსუბუქი კონსტრუქციის მქონე მასალების გამოყენება, სამუშაოების სრულად განსახორციელებლად საჭირო იქნება 3 თვე.

8. მისასვლელი გზები

პროექტის განხორციელება დამატებით მისასვლელი გზების მშენებლობას არ ითვალისიწინებს და გამოყენებული იქნება არსებული გზები. პროექტის განხორციელების დროს მხედველობაში იქნება მიღებული ის გარემოება რომ ტექნიკის გადადგილებამ არ გამოიწვიოს მოსახლეობის შეწუხება, ამიტომ გადაადგილება განხორციელდება ისე, რომ მაქსიმალურად თავიდან იქნეს აცილებული დასახლებულ პუნქტში ტექნიკის მოძრაობა. მითუმეტეს, რომ საპროექტო ტერიტორიას გააჩნია ალტერნატიული მისასვლელები. გარდა ამისა, სამუშაოების დაწყებამდე, შედგენილი იქნება სამუშაოების განხორციელების გეგმა-გრაფიკი, რომელიც გაეცნობა საპროექტო ტერიტორიასთან ახლომდებარე მოსახლეობას და ასევე ინფორმირებული იქნება საპატრულო პოლიცია.

9. დასაქმებულების რაოდენობა

ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი ასაფრენ/დასაფრენი მოედნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურული ნაგებობების მოწყობის პროცეში დასაქმებული იქნება დაახლოებით 20 ადამიანი, ხოლო აეროდრომის ექსპლოატაციის შესვლის შემდგომ დასაქმდება დაახლოებით 60 ადამიანი. დასაქმებულების უმრავლესობა, განსაკუთრებით მშენებლობის პროცესში იქნება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა.

10. წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები

აეროდრომის მომარაგება სასმელ-სამეურნეო წყლით, როგორც მშენებლობის ისე ექსპლოატაციის პროცესში მოხდება ქალაქის კომუნალური სამსახურის მიერ. ჩამდინარე საკანალიზაციო წყლები კი ჩაშვებული იქნება ქ. თბილისის საკანალიზაციო ქსელში, ქალაქის კომუნალურ სამსახურთან გაფორებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ხოლო რაც შეეხება სანიაღვრე წყლების მართვის საკითხს, მისი ჩაშვება ასევე მოხდება საკანალიზაციო ქსელში.

11. საწვავით მომარაგება

მშენებლობის პროცესში, მძიმე ტექნიკის საწვავით შევსება საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი არ არის. ხოლო, ექსპლოატაციის ეტაპზე, ვერტმფრენების საწვავით მომარაგებას უზრუნველყოფს

შესაბამისი გამოცდილების მქონე კომპანია. საწვავის ტერიტორიაზე შემოტანას შესაბამისი ავზებით, ვერტმფრენების შევსებას და მის შემდგომ მართვას განახორციელებს აღნიშნული კომპანია, რომელიც შემდგომში წარმოდგენილი იქნება როგორც კონტრაქტორი კომპანია, იგი ასევე უზრუნველყოფს ტერიტორიაზე შესაძლო ავარიული დაღვრის საკითხების მართვას. საწვავის რეზერვუარების მოწყობა ტერიტორიაზე დაგეგმილი არ არის და როგორც უკვე აღინიშნა, მის შემოტანას უზრუნველყოფს კონტრაქტორი საჭიროების შესაბამისად.

12. გარემოს არსებული მდგომარეობა

12.1 ქ. თბილისის ზოგადი ფიზიკურ-გეოგრაფიული დახსიათება

ქ. თბილისი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის ორივე მხარეზე, ქალაქი ძირითადად ქვაბულის ფსკერზეა გაშენებული და ჩრდილოეთის განედის 41-42 და აღმოსავლეთ გრძედის 41-42-ზე მდებარეობს. ქალაქი დასავლეთიდან შემოსაზღვრულია თრიალეთის ქედით, კერძოდ, მისი აღმოსავლური განშტოებებით, რომელთა მთისწინეთის ნაწილი უკვე განაშენიანებულია. ქალაქის აღმოსავლეთის საზღვარი გადის ყენის, ძემვისა და მახათას მთებზე. მტკვრისაკენ მიმართული მათი ფერდობები დასახლებულია. ჩრდილოეთით თბილისი შემოიფარგლება საგურამოს ქედის სამხრეთი მთისწინეთით, ხოლო სამხრეთით თელეთის ქედით.

ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით მდ. მტკვარი ქ. თბილისს ორ კარგად გამოხატულ ერთეულად - მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებად ყოფს. მარჯვენა სანაპირო რელიეფურად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის განშტოებებით, რომლებიც ციცაბოდ ეშვება მტკვრის ხეობისკენ. მათ შორის მოქცეულია მტკვრის შენაკადთა ხეობები. მტკვრის მარცხენა ნაპირეთში მდებარეობს მახათას მთა, რომლის სიმაღლე 630 მ-ს აღწევს.

თბილისის რელიეფი კარგად გამოხატული ტერასებით ხასიათდება. პირველი ტერასა, რომლის შეფარდებითი სიმაღლე მტკვრის ხეობასთან 1-დან 5-მდე მერყეობს, თბილისის მხოლოდ ცალკეულ უბნებშია. მათ შორის აღსანიშნავია ე. წ „პესკები“ ანუ რიყე.

მეორე ტერასა (შეფარდებითი სიმაღლე 7-10 მეტრი) მთლიანადაა განაშენიანებული. აქ მდებარეობს დავით აღმაშენებლის პროსპექტი, დიდუბე, ავჭალა, დიღომი.

მესამე ტერასა მდ. მტკვრის დონიდან 20-25 მეტრი სიმაღლისაა. აღნიშნულ ტერასაზეა რუსთაველის პროსპექტი, ვაკისა და საბურთალოს ნაწილი, მარცხენა სანაპიროზე კი - ავლაბარი.

მეოთხე ტერასაზე, რომლის სიმაღლე 60-80 მ-ია, გაშენებულია ნაძალადევი, ღრმაღელე და ლოტკინი.

მეხუთე ტერასის შეფარდებითი სიმაღლეა 145-160 მ. იგი ყველაზე კარგად გამოხატულია მახათას მთის მიდამოებში, რადგანაც სწორედ აქ აქვს მას პლატოსმაგვარი ფორმა.

თბილისის რელიეფში განსაკუთრებით საინტერესოა ის დეპრესია, რომელიც ამჟამად „თბილისის ზღვას“ უკავია. აქ რამდენიმე ათეული წლის წინ სამი მლაშე ტბა იყო. ვარაუდობენ, რომ აღნიშნული ტბები მდინარე მტკვრის უძველეს ხეობაში მდებარეობდა.

ქალაქის ტერიტორიაზე სუბტროპიკული, ზომიერად თბილი, სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ცხელზაფხულიანი ჰავაა. ჰაერი მშრალია, მცირეა ნალექები. ამის მიზეზად ითვლება გაბატონებული ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესები, აგრეთვე ქალაქის დასავლეთით მდებარე ქედების განლაგება (ლიხი, თრიალეთი, ჯავახეთი), რომლებიც ეღობებიან დასავლეთიდან შემოჭრილ ნოტიო ჰაერის მასებს. გაბატონებული (რეჟიმული) ჰიდრომეტეოროლოგიური პირობები უფრო დეტალურად აღწერილია მოცემული თავის კონკრეტულ პარაგრაფებში.

12.2 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია ქ. თბილისში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხთან დაკავშირებით უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში (2015 წლიდან დღემდე) სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემები.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2015 წელს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვება წარმოებდა საქართველოს 5 ქალაქის 7 საგუშაგოზე, დღეში ძირითადად 3-ჯერ, შემდეგ დამაბინძურებელ ინგრედიენტებზე: მტვერი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირჟანგი, აზოტის ოქსიდი და დიოქსიდი, ოზონი, მანგანუმის დიოქსიდი და ტყვია.

2015 წელს ქალაქ თბილისში ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვება ასევე წარმოებდა ჰაერის ფონურ დაბინძურებაზე დაკვირვების ავტომატური სადგურის საშუალებით, სადაც ავტომატურ რეჟიმში ისაზღვრებოდა შემდეგი დამაბინძურებელი ინგრედიენტები: ნახშირჟანგი, გოგირდის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდები, ოზონი, PM_{2.5} და PM₁₀.


ყველაზე მეტად გავრცელებული დამაბინძურებელი ნივთიერებების მტვრის, გოგირდის დიოქსიდის, ნახშირჟანგის, აზოტის ოქსიდის და დიოქსიდის და სხვათა კონცენტრაციები ისაზღვრებოდა იმ

მეთოდიკებით, რომლებიც მოცემულია სანკტპეტერბურგის მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორის მიერ შედგენილ მეთოდურ სახელმძღვანელოში: „Руководство по контролю загрязнения атмосферы“ და აგრეთვე სახელმძღვანელო დოკუმენტებში РД 52. 04-57-95 да РД 52 04-56-89.

მტვრის კონცენტრაცია ისაზღვრებოდა წონითი მეთოდით. ჰაერის სინჯებს იღებდნენ ფПП-15 ტიპის ფილტრების საშუალებით, აზოტის ოქსიდის, ასევე გოგირდისა და აზოტის დიოქსიდის განსაზღვრა წარმოებდა ფოტოკოლორიმეტრული მეთოდით. ნახშირჟანგის კონცენტრაცია ისაზღვრებოდა ელექტროქიმიური მეთოდით აირანალიზატორ "ჰალადი-3"-ის გამოყენებით. ორ საგუშაგოზე ნახშირჟანგისა და აზოტის დიოქსიდის განსაზღვრა წარმოებდა მობილური ხელსაწყო ელАН-ით. ტყვიის სინჯის აღება წარმოებდა AФA-XП-20 ფილტრებით და ისაზღვრებოდა ინდუქციურად შეწყვილებული ოპტიკური ემისიის სპექტრომეტრით (ICP-OES). მანგანუმის სინჯების აღება წარმოებდა AФA-XП-18 ფილტრების საშუალებით და ისაზღვრებოდა ფოტოკოლორიმეტრული მეთოდით. ოზონი ისაზღვრებოდა ოზონის განმსაზღვრელი აირანალიზატორის 3.02 ПА-ს საშუალებით და ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნა გაკეთდა მიღებული შედეგების საქართველოში დადგენილ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებთან შედარებით.

ჰაერის დამაბინძურებელ ინგრედიენტების ზღვრულად
დასაშვები კონცენტრაციები

| ინგრედიენტი | საშუალო სადღედამისო, მგ/მ³ | მაქსიმალური ერთჯერადი, მგ/მ³ |
|---------------------|----------------------------------|------------------------------------|
| მტვერი | 0.15 | 0.5 |
| გოგირდის დიოქსიდი | 0.05 | 0.5 |
| ნახშირჟანგი | 3.0 | 5.0 |
| აზოტის დიოქსიდი | 0.04 | 0.2 |
| აზოტის | 0.06 | 0.4 |
| ოზონი | 0.03 | 0.16 |
| მანგანუმის დიოქსიდი | 0.001 | 0.01 |
| ტყვია (თვიური) | 0.0003 | |



ავტომატური და არაავტომატური სადგურების ლოკაციების 2015 წლის მდგომარეობით.

2015 წელს ქ. თბილისში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვება წარმოებდა 3 სტაციონალურ ჯიხურზე, რომლებიც განლაგებულნი არიან კვინიტაძის ქუჩაზე, წერეთლისა და მოსკოვის გამზირებზე.

კვინიტაძის ქუჩაზე ისაზღვრებოდა 6 დამაბინძურებელი ინგრედიენტი: მტვერი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირჟანგი, აზოტის დიოქსიდი, ოზონი და ტყვია, მოსკოვის გამზირზე - ნახშირჟანგი და აზოტის დიოქსიდი, ხოლო წერეთლის გამზირზე - მტვერი, ნახშირჟანგი, აზოტის დიოქსიდი და ტყვია.

ქალაქ თბილისში ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვება ასევე წარმოებდა ავტომატური სადგურის საშუალებით, სადაც ავტომატურ რეჟიმში ისაზღვრებოდა შემდეგი დამაბინძურებელი ინგრედიენტები: ნახშირჟანგი, გოგირდის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდები, ოზონი, PM_{2.5} და PM₁₀.

2015 წელს ქ. თბილისში მტვრის მაქსიმალურმა კონცენტრაციამ მიაღწია $2.1 \text{ } \mu\text{g}/\text{m}^3$ ($4.2 \text{ } \text{ზდვ}$)-ს, ნახშირჟანგის $22 \text{ } \mu\text{g}/\text{m}^3$ ($4.4 \text{ } \text{ზდვ}$)-ს, აზოტის დიოქსიდის $0.332 \text{ } \mu\text{g}/\text{m}^3$ ($1.7 \text{ } \text{ზდვ}$)-ს და ოზონის $-0.398 \text{ } \mu\text{g}/\text{m}^3$ ($2.5 \text{ } \text{ზდვ}$)-ს, გოგირდის დიოქსიდის ერთჯერადი მაქსიმალური კონცენტრაცია - $0.22 \text{ } \mu\text{g}/\text{m}^3$ არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ ნორმას.

ქ. თბილისის ჰაერის დაბინძურების მახასიათებლების
2015 წლის საშუალო წლიური მონაცემები


| ინგრედიენტი | საგუშავოს მისამართი | ანალიზების რაოდენობა | საშუალო კონცენტრაცია (მგ/მ³) | მაქსიმალური კონცენტრაცია (მგ/მ³) | ზღვ-ს გადაჭარბების შემთხვევათა რაოდენობა |
|----------------------|---|-------------------------|------------------------------------|--|---|
| მტვერი | კვინიტაბის ქ. წერეთლის გამზ. | 713 389 | 0.70 0.79 | 1.5 2.1 | 591 317 |
| გოგირდის დიოქსიდი | კვინიტაბის ქ. | 716 | 0.138 | 0.20 | 0 |
| ნახშირჟანგი | კვინიტაბის ქ. მოსკოვის გამზ. წერეთლის გამზ. | 716 621 459 | 4.87 2.25 1.76 | 22.0 4.6 7.87 | 169 0 12 |
| აზოტის დიოქსიდი | კვინიტაბის ქ. მოსკოვის გამზ. წერეთლის გამზ. | 716 621 459 | 0.095 0.080 0.070 | 0.200 0.195 0.332 | 0 0 15 |
| ოზონი | კვინიტაბის ქ. | 338 | 0.0469 | 0.398 | 15 |
| ტყვია | კვინიტაბის ქ. წერეთლის გამზ. | 12 9 | 0.00017 0,000023 | | |

ავტომატური სადგურის მონაცემებით კი ყველა განსაზღვრული ინგრედიენტის საშუალო წლიური კონცენტრაცია ნორმის ფარგლებში იყო, გამონაკლისს წარმოადგენდა ოზონი, რომლის საშუალო წლიური კონცენტრაცია უმნიშვნელოდ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას.


უკანასკნელი წლების განმავლობაში ქ. თბილისის ატმოსფერულ ჰაერში გაიზარდა გოგირდის დიოქსიდის, მტვრის და ოზონის საშუალო წლიური კონცენტრაციები, აგრეთვე უმნიშვნელოდ გაიზარდა ნახშირჟანგის კონცენტრაცია, ხოლო აზოტის დიოქსიდის კონცენტრაცია კი უმნიშვნელოდ შემცირდა.

ქ. თბილისში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საშუალო წლიური კონცენტრაციების
(მგ/მ³) ცვლილება 2011-2015 წლების მონაცემების მიხედვით


| ინგრედიენტი | წლები | | | | |
|-------------------|---------|---------|---------|---------|--------|
| | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 |
| მტვერი | 0.5 | 0.5 | 0.7 | 0.9 | 0.77 |
| გოგირდის დიოქსიდი | 0.09 | 0.12 | 0.12 | 0.13 | 0.14 |
| ნახშირჟანგი | 2.8 | 3.1 | 3.4 | 2.96 | 3.1 |
| აზოტის დიოქსიდი | 0.088 | 0.09 | 0.10 | 0.09 | 0.084 |
| ოზონი | 0.0136 | 0.034 | 0.013 | 0.021 | 0.0469 |
| ტყვია | 0.00020 | 0.00021 | 0.00013 | 0.00012 | 0.0002 |




მტვრის საშუალო წლიური კონცენტრაციები, მგ/მ³




გოგირდის დიოქსიდის საშუალო წლიური კონცენტრაციები, მგ/მ³




ნახშირჟანგის საშუალო წლიური კონცენტრაციები, მგ/მ³



აზოტის დიოქსიდის საშუალო წლიური კონცენტრაციები, მგ/მ³




ოზონის საშუალო წლიური კონცენტრაციები, $\text{მგ}/\text{მ}^3$




ტყვიის საშუალო წლიური კონცენტრაციები, $\text{მგ}/\text{მ}^3$


2015 წელს თბილისში ასევე ჩატარდა 35 ინდიკატორული გაზომვა. ყველგან დაფიქსირდა გოგირდის დიოქსიდის, ოზონის და ბენზოლის დაბალი ინდექსები, ხოლო აზოტის დიოქსიდის ინდექსი ყველგან იყო საშუალო, გარდა ერთი წერტილისა - ტოვსტონოგოვის ქუჩაზე, სადაც აღინიშნა მისი დაბალი ინდექსი.




თბილისი - I ეტაპი SO₂ გოგირდის დიოქსიდი



თბილისი - I ეტაპი NO₂ - აზოტის დიოქსიდი




თბილისი - I ეტაპი O₃ -ოზონი




თბილისი - I ეტაპი C₆H₆ - ბენზოლი


2015 წელს ქ. თბილისში მეორე ეტაპზეც ჩატარდა 35 ინდიკატორული გაზომვა. ყველგან დაფიქსირდა გოგირდის დიოქსიდის და ოზონის დაბალი ინდექსები. აზოტის დიოქსიდის ინდექსები იყო როგორც დაბალი ასევე საშუალო. კერძოდ, აზოტის დიოქსიდის საშუალო ინდექსები დაფიქსირდა ექვს წერტილში. ბენზოლის ინდექსი ყველგან იყო დაბალი, გარდა ერთი წერტილისა - ტაშკენტის ქუჩაზე, სადაც დაფიქსირდა საშუალო ინდექსი.




თბილისი - I I ეტაპი SO₂ გოგირდის დიოქსიდი



თბილისი - II ეტაპი NO₂ - აზოვის დონეებიდი



თბილისი - I I ეტაპი O₃ - მონიტორინგი



თბილისი - I I ეტაპი C₆H₆ - ბენზოლი

2019 წლის იანვრის თვეში ქ. თბილისში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე უწყვეტი მონიტორინგი წარმოებდა 4 სადამკვირვებლო პუნქტზე.

ატმოსფერულ ჰაერში განსაზღვრული დამაბინძურებელი
ნივთიერებები პუნქტების მიხედვით

| დაკვირვების პუნქტი | მყარი ნაწილაკ ები | აზოტის დიოქსიდი | გოგირდის დიოქსიდი | ნახშირ ჟანგი | ოზონი | მანგანუმის დიოქსიდი | აზოტის ოქსიდი | ტყვია |
|-------------------------------------|---------------------------|--------------------|----------------------|-----------------|-------|------------------------|------------------|-------|
| ქ. თბილისი | | | | | | | | |
| წერეთლის გამზირი | PM10 PM2,5 | X | X | X | X | | X | |
| ყაზბეგის გამზირი | PM ₁₀ PM2,5 | X | X | X | X | | X | |
| ვარკეთილი 3 | PM10 PM2,5 | X | X | X | X | | X | |
| ვაშლიჯვარი (მობილური სადგური) | PM10 PM2,5 | X | X | X | X | | X | |

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2019 წლის იანვრის თვეში ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი წარმოებდა სამი სტაციონალური ავტომატური სადგურის საშუალებით, რომლებიც განლაგებულნი არიან წერეთლისა და ყაზბეგის გამზირებზე, ვარკეთილში, ასევე ვაშლიჯვარში განთავსებული მობილური ავტომატური სადგურით და იზომებოდა შემდეგი მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები: მყარი ნაწილაკები PM10 და PM2.5, ნახშირბადის მონოქსიდი (CO), გოგირდის დიოქსიდი (SO₂), აზოტის ოქსიდი(NO) და დიოქსიდი (NO₂), NOX და ოზონი (O₃).

ქ. თბილისში 2019 წლის იანვრის თვეში გოგირდის დიოქსიდის (SO₂) 1 სთ-იანი და 24 სთ-იანი გასაშუალოებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობებს

